

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის  
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი)	მამუკა ბურდიაშვილი
თანამდებობის დასახელება	თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ფრაქციის დასახელება	„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
კომისიის დასახელება:	საფინანსო საბიუჯეტო კომისია, ეკონომიკისა და სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)	პროპორციული
საანგარიშო პერიოდი	2021 წლის 3 დეკემბრიდან დან 2022 წლის 31 ოქტომბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე)	რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1.1 სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 14  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება 14

1.2 სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 23 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების  
კომისიის სხდომებზე დასწრება 19 მ/შ დროებით სამუშაო ჯგუფებში და კომისიების-

1.3 სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - დავესწარი 5 სხდომიდან ხუთივეს.

1.4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

სოფ. ლეჩურში გაზიფიცირების პროცესის დაწყებისა და განხორციელების მიზნით, ბიუჯეტში თანხის გამოყოფის შესახებ.

ჩემი ინიციატივით სოფ. ლეჩურში დაიწყო ახალი ამბულატორიის მშენებლობა და გამოიყო თანხა ბიუჯეტში.

### 1.5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ,

თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ

მხარი დავუჭირე ასევე, ადგილობრივ ბიუჯეტში წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოებისთვის ფულადი სახსრების გამოყოფას, მერიის მიერ ინიცირებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებს.

1.6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა - საკრებულოს წევრებთან ერთად მიზანშეწონილას არ მივიჩნიე მხარი დამეჭირა ქ. თელავის ცენტრალურ ქუჩაზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობის მიზნით საბიუჯეტო ცვლილების განხორციელებისთვის.

1.7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 8 და შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა 150

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

ფშაველი - ლეჩური - ლალისყური

ნაგავსაყრელის მოწესრიგება

სარწყავის სისტემის სათავეს მოწყობა

გზის ინფრასტრუქტურული სამუშაოები

რეკრეაციული სივრცეების მოწყობა

სოფ. ლეჩურში გაზიფიცირების პრობლემა

სოფ. ლეჩურში ახალი ამბულატორიის მშენებლობა.

ლალისყური

საბავშვო ბაღის შენობაში ერთი ოთახის რემონტი

სოფ. ლალისყურში წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა.

ვმონაწილეობდი ქონებისა და ეკონომიკის კომისიის გასვლით სხდომაზე, სხდომაში ქ. თელავში, ნიკო მუსხელიშვილი ქუჩაზე, სადაც მოსახლეობა კოლექტიური განცხადების საფუძველზე ითხოვდა რეკრეაციული სივრცის მოწყობას.

1.9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

ჩემი აქტიური ჩართულობით სოფ. ლეჩურში გაზიფიცირების პროცესის დაწყებისა და განხორციელების მიზნით, ბიუჯეტში გამოიყო შესაბამისი ფულადი სახსრები.

სოფ. ლეჩურში დაიწყო ახალი ამბულატორიის მშენებლობა და გამოიყო თანხა ბიუჯეტში.

სოფ. ლალისყურში მოეწყობა წყლის სათავე ნაგებობა რისთვისაც ბიუჯეტში თანხა გამოიყო, აღნიშნული ნაგებობაზე მიმდინარეობს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები

2. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა



- აქტიურად ვთანამშრომლობ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მათ შორის NDI-სთან, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა ფორმების დამკვიდრებაზე.

ვარ ევროსაბჭოს პროექტის კოორდინატორი მოქალაქეთა ჩართულობის ფორმების დანერგვის მიზნით.

### 3. საკრებულოს წევრის სამომავლო გეგმები

ჩემი სამომავლო გეგმაა დაინერგოს ისეთი მოქნილი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთ თანამშრომლობას, კერძოდ ამ პროექტის განსახორციელებლად მიზანშეწონილად მიმაჩნია ავირჩიო სოფელი ლეჩური, სადაც შეიქმნება პირველი მოქალაქეთა ასაბლეა.

შევსების თარიღი: 29.10.2022წ

წარდგენის თარიღი : 01.11.2022წ

ხელმოწერა

